

სლექსანდრე  
მიხეილის გაფია

ბიობილიოგჩატია



АЛЕКСАНДР  
ДИДЕБУЛИДЗЕ  
БИОБИБЛИОГРАФИЯ

\* ვაცემავავ \*  
\* МЕЦНИЕРЕБА \*



## Биобиблиография



Издательство <Мечниеве>  
Тбилиси

1985

‘**ဘဏ္ဍာဂျီ**’  
၁၉၅၀ ခုနှစ်၊ မြန်မာနိုင်ငြာဂျီ  
(1882—1951)

မြန်မာနိုင်ငြာဂျီ



ရန်တေသနပညာတော်လတော်၊ «မြန်မာနိုင်ငြာဂျီ»  
စံနှုန်း

1985

გამოჩენილი ელექტროტექნიკოსის, ფიზიკოსის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. დიდებულიძის ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1910—1981 წლების მასალას. ნაშრომში შედის სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-პოპულარული და მისი რედაქციით გამოცემული შრომები, ლიტერატურა ა. დიდებულიძის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანაბური ჩიგის მიხედვით, ბიობიბლიოგრაფიას წინ უძრევის ა. დიდებულიძის, მოკლე ბიოგრაფია, სამეცნიერო და საზოგადოგბრივი მოღვაწეობის მიმოხილვა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის ძირითად შრომათა ანაბური და სახელთა სამიებლები.

В биобиблиографию выдающегося электротехника, физика, педагога и общественного деятеля академика АН ГССР А. И. Дидебулидзе включены все его произведения за 1910—1981 годы. В биобиблиографии представлены научно-исследовательские, научно-популярные труды и труды, опубликованные под редакцией ученого, литератора о А. И. Дидебулидзе.

Материал расположен в хронологическо-алфавитном порядке. К биобиблиографии предпослана краткая биография, очерк научной и общественной деятельности А. И. Дидебулидзе. Предлагается алфавитный указатель основных трудов и указатель имён.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: გ. ჯიბლაძე (მთ. რედაქტორი), ლ. გაბუნია, ა. ცაგარელი, ვ. გომელაური, გ. ციცელვალი, თ. თხინაძე, მ. დარასელია, შ. ძიძიგური, ა. აფაქიძე, ჭ. ლომინაძე, ს. ხადური, ნ. გურგენიძე (მდივანი).

შემდგენელი: გ. გელაძე-ბორჯაძე.

რედაქტორები: ა. კოტია, ნ. გურგენიძე

ბიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნაკაშიძისა.

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Г. Н. Джиладзе (глав. редактор), Л. К. Габуния, А. Л. Цагарели, В. И. Гомелаури, Г. В. Цицишвили, Т. Н. Ониани, М. К. Дараселия, Ш. В. Дзиэдзигури, А. М. Апакидзе, Дж. Г. Ломинадзе, С. А. Хадури, Н. А. Гургенидзе (секретарь).

Составитель: Г. В. Мгеладзе-Борджадзе

Редакторы: А. К. Котия, Н. А. Гургенидзе

Библиографическая редакция Т. Е. Накашидзе



## ალექსანდრე იოსების-ძე ღილაშვილი

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის  
შეკლე მიმოხილვა)

ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე იოსების ძე ღილებულიძე საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა უმაღლეს ტექნიკურ განათლებას საქართველოში და უდიდესი წვლილი შეიტანა ცალკეული ტექნიკური დისციპლინების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. იგი ქართული ელექტროტექნიკური სკოლის ფუძემდებელია. მისი პირველი შრომები ელექტროტექნიკაში ჯერ კიდევ 1910—1912 წლებში გამოქვეყნდა. ა. ღილებულიძემ, სწავლულმა მეცნიერული და ტექნიკური ინტერესებისა და გამოკვლევების ფართო დიაპაზონით, აქტიურმა საზოგადო მოღვაწემ და ორგანიზატორმა, დიდი წვლილი შეიტანა ელექტროტექნიკის სხვადასხვა დაწესის და მონათესავე დისციპლინების განვითარებაში.

ა. ღილებულიძე დაიბადა 1882 წლის 14 (24) დეკემბერს ქ. თბილისში, თბილისის ონკერთა სახწავლებლის სამხედრო მასწავლებლის ოჯახში. დედამისი მ. სულხანიშვილი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ნ. სულხანიშვილის ძმისწული, მუსიკისა და სიმღერის მასწავლებელი იყო. პირველდაწყებითი განათლება ა. ღილებულიძემ სახლში მიიღო; 1894 წ. შევიდა თბილისის რეალურ სასწავლებელში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1903 წ. ამავე წელს ჩაირიცხა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (რპი) მექანიკურ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1911 წ. მაისში და მიერიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის წოდება პიდროელექტრიკოსის სპეციალობით, კონსტრუქტორის განხრით.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ა. ღილებულიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო, როდესაც ის ჩარიცხეს დამხმარეასისტენტად რპი-ს ელექტროტექნიკის კათედრაზე პროფ. ნ. ოზმილოვთან. 1910 წ. ა. ღილებულიძე აირჩიეს ასისტენტად, 1915 წ. კი დო-

დანწელა, კითხულობდა ლექციებს ელექტროტექნიკაში და მიჰყავდა კურსები ტელეფონიაში, ტელეგრაფიასა და რადიოტელეგრაფიაში. რპი-ში მუშაობასთან ერთად იგი ასწავლიდა ფიზიკას, მათემატიკას და კოსმოგრაფიას რიგის რეალურ სასწავლებელსა და ქალთა გიმნაზიაში; კითხულობდა ლექციებს და განაცემდა ელექტროტექნიკურ ლაბორატორიას პროფ. მ. ბერლოვის კერძო ტექნიკუმში.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ა. დიდებულიძე ეწეოდა ფართო საინჟინრო-პრაქტიკულ მუშაობას. 1911—1914 წლებში მან დაპროექტა და განახორციელა რპის შენობის განათება, შეადგინა ქ. მიტავის ელექტრული ქსელის პროექტი, იყო რიგი ელექტროტექნიკური ფიზმების („პარტმან-ბრაუნი“, „ვოლტა“ „ტუნგ-საბამი“) კონსულტანტი, ტურბინების ქარხანა „პირვიცის“ კონსულტანტი-კონსტრუქტორი, ჰერნდა თავისი ელექტროტექნიკური კანტორა ქ. რიგაში.

1910 წ. განეკუთვნება მისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი ფრენსისის ტურბინების განვარიშების შესახებ, რომელშიც მოცემული იყო ტურბინის მუშა თვალის ფრთხების გაანგარიშების ახალი მეთოდი. ეს ნაშრომი მოხსენდა რიგის პოლიტექნიკურ საზოგადოებას და გამოქვეყნდა ქ. რიგაში.

1912 წ. ურნალ „ელექტრიჩესტროში“ გამოქვეყნდა მისი სტატია, რომელიც მიეკლვნა პარალელურად შეერთებული წინალობების საერთო წინალობის განსაზღვრის ორიგინალურ გრაფიგულ მეთოდს.

სტუდენტობის წლებშივე ა. დიდებულიძე გატაცებული იყო ფოტოგრაფიული პროცესების თეორიისა და პრაქტიკის საყითხებით. ეს გატაცება მას გაჰყენა მთელი სიცოცხლის მანძილზე. 1908 წ. იგი აირჩიეს ურნალ „ფოტოგრაფიჩესკიე ნოვოსტის“ რედაქტორად ქ. რიგაში, ხოლო 1913—1914 წლებში და 1915 წ. გამოქვეყნდა მისი შრომები „ფოტოგრაფიული ემულსიების ოპტიკური სენსიბილიზატორები“ და „ფერადი ფოტოგრაფია ვერცხლის მარილებზე“ (ნაწილი I, „ლიპმანის ინტერფერენციის მეთოდი“), სადაც ავტორი, ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე, მივიღა იმ დასკვნამდე, რომ წვრილ მარცვლებზე შეიძლება მნიშვნელოვნად გავზარდოთ ემულსის გრძნობიერება ფიზიკური სენსიბილიზატორებით (მაგ., ანილინის სალებავის, კოლოიდური ვერცხლის და ზეკულინის დამატებით), გავზარდოთ ემულსის გრძნობიერება ფერადი ფოტოგრაფიისათვის ლიპმანის მეთოდით და გავაუმჯობესოთ ფერების მკაფიოობა და სიწმინდე.

1906 წ. რიგაში მან ჩამოყალიბა სტუდენტთა ტექნიკური საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც თვითვე იყო, ხოლო 1907—1909 წლებში თავმჯდომარეობდა სამუსიკო საზოგადოებას.

ა. დიდებულიძის მიერ 1911—1912 წლებში ჩატარებული სამუშაოების („მცენარეების და ცხოველების ელექტროულტურა“) საფუძველზე დადგინდა, რომ ელექტრული ველის გავლენით მცენარე (ნაყოფი) უფრო აღრე მწიფდება, იზრდება მოსავალი და შაქრის შემცველობა, ხოლო ხელოვნური განათებისას მცენარეები ისევე კარგად იღმოცენდებიან, როგორც დღის სინათლეზე. ამ ნაშრომის შედეგები მოხსენდა რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა ყრილობას 1913 წელს და გამოქვეყნდა ყრილობის დღიურში.

1912—1913 წლებში ა. დიდებულიძემ დაამუშავა თერმოელემენტის ახალი ტიპი, რაზედაც მიიღო საავტორო მოწმობა და მოხსენდა VII ელექტროტექნიკურ ყრილობას მოსკოვში. ამ თერმოელემენტში თერმოწყვილის მისაღებად ერთი ლითონის ზედაპირი იფარებოდა მეორე ლითონით.

1915 წ., რპის რიგიდან ევაკუაციის შემდეგ, ა. დიდებულიძე გადავიდა მოსკოვში, სადაც 1916 წ. სექტემბრამდე კითხულობდა ლექციებს ელექტროტექნიკაში სამრეწველო სასწავლებელში, ზანიავსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობდა ელექტროტექნიკურ ლაბორატორიას მოსკოვის ტექნიკურ სასწავლებელში. 1915 წ., მოკლე ხნით, ა. დიდებულიძე გადავიდა ქ. კალუგაში, სადაც ევაკუირებული იყო რპი. იქ იგი გაეცნო კ. ციოლკოვსკის და მასთან ერთად ატარებდა ლექციებს ქალაქის საზოგადოებისათვის.

1916 წ. სექტემბერში ა. დიდებულიძე გაიწვევს მოქმედ არმიაში, მალე დაინიშნა მთავარ საარტილერიო ტექნიკურ მიმღებად ქ. ოდესაში; ხოლო შემდეგ — ოდესის რაიონის ჭურვების დამამზადებელი სამართლელოს ტექნიკური ნაწილის გამგედ, სადაც მის ტექნიკურ (დაქვემდებარებაში იყო მრავალი ქარხანა („გენი“, „უაკო“, „დუბინინი“, „გერფუ“ და სხვ.).

1917 წ. რუსეთის ტექნიკური საზოგადოების დავალებით მან ჩამოყალიბა სამხედრო ფორმალაბორანტების კურსები ქ. ოდესაში და ხელმძღვანელობდა კიდეც მს.

1918 წ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. დიდებულიძე კომპტირებული იყო რუსინეთის ფრონტზე, შავი ზღვის ფლოტისა და ოდესის გარნიზონის დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად და დაევალა სამხედრო საჭურვლის შარმოებელი ქარხნების გადაყვანა სამშვიდობო პროდუქციის გამოშვება-

ზე, რაც მან რამდენიმე თვეში შეასრულა. აქ მან დაამუშავა და წარმოებაში დანერგა საჭრისების ახალი ტიპი, რომელსაც არ სჭირდებოდა ხელახლა დაჭიდვა, რამაც მოსპონ ნაჩრენის მიღება და საიარალო ფოლადის გაფუჭება. ამ საჭიროსადმი მიღვნილი სტატია გამოქვეყნდა 1918 წ. ქ. ოდესაში.

ოდესაში ყოთნისას (1916—1919 წ.) იგი დიდ ყურადღებას და ენერგიას უთმობდა უმაღლესი ტექნიკური განათლების ორგანიზაციის, იყო 1917 წ. ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი, სადაც 1918 წ. აირჩიეს დოკუმენტად და მექანიკური ფაქულტეტის მდგრად, ხოლო 1918 წ. აპრილში — თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის პროფესორად. ოდესაში მას მჟიდრო კავშირი ჰქონდა იქ მყოფ ცნობილ მეცნიერებთან ლ. მანდელშტამთან, ნ. პაპალექსისთან, ჩ. კლარკთან, კ. ზავრიევთან.

ოდესის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩატარებული მუშაობით ა. დიდებულიძემ საყოველთაო აღიარება და პატივისცემა დაიმსახურა. ტექნიკური ფაქულტეტის თავმჯდომარე ჩ. კლარკი 1919 წ. საქართველოში გადმოსული ა. დიდებულიძის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში წუხილს გამოთქვამდა მისი ოდესიდან წასვლის გამო, აღნიშნავდა, რომ იგი ელექტროტექნიკის ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი იყო, აცნობებდა, რომ ფაქულტეტის დადგენილებით მას გაწეული მუშაობისათვის გამოეცხადა მაღლობა და დეპეშაში შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „თქვენ იყავით ერთ-ერთი ყველაზე ენერგული ინიციატორი და თავდადებული მუშაყი თოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანიზაციის საქმეში მისი ჩასახვისა და მოწყობის პერიოდში, შემდეგ კი განუწყვეტლივ და ინტენსიურად თანამშრომლობით პოლიტიკური კრიზისების შძიმე დროში. თქვენ დიდი შრომა გასწიეთ და ამავგი დასდეთ ელექტროტექნიკური ლაბორატორიის მოწყობასა და მომარაგებაში საჭირო ხელსაწყობითა და ინვენტარით, ასევე დიდად უწყობდით ხელს ამავე მიმართულებით მთელი ინსტიტუტის მოწყობას“.

1912 წ. ა. დიდებულიძემ რიგის ტექნიკურ საზოგადოებას მოახსენა თავის შექმნილი ხელსაწყოსა და ამ ხელსაწყოთი გაღვანური ელემენტების გამოცდის მეთოდის შესახებ, რაც 1929 წ. ქ. თბილისში გამოცემულ მის მონოგრაფიაში „ელექტრო და მაგნიტომეტრია“—ში შევიდა. 1917 წ. მომზადებულ ნაშრომში იგი ეხება კონტრასტულობის გაძლიერებას ამოჭმული და გამოხუნებული ხელნაწერების ფოტოგადაღებისას, რომელიც 1923 წ. გამოქვეყნდა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბეში“.

1919 წ. მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით იგი მიწვიეს უნივერსიტეტში და იმარჩის ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის გამგედ და პროფესორად, სადაც მუშაობდა 1933 წლამდე.

თსუ-ში იგი დიდ ყურადღებას უთმობდა კურსდამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდებიდან ფიზიკაში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისათვის მოსამზადებელი კადრების შერჩევას. მისი ინიციატივით უნივერსიტეტში დატოვეს და ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების ასპირანტურაში მიავლინეს მ. მირიან შვილი, ვ. მამასახლისოვი, ი. ქვარცხავა, დ. ღოლობერიძე და სხვა, შემდგომში ცნობილი მეცნიერები და თსუ-ს კათედრების ხელმძღვანელები.

ამ დროს თბილისში 1917 წლიდან ასებობდა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თსპი). სამოფლო-სამეცნიერო, ექონომიკური, მექანიკური და სამშენებლო ფაკულტეტებით, სადაც ა. დიდებულიძე მიწვიეს ფიზიკის კათედრის პროფესორად და დანიშნეს მექანიკური ფაკულტეტის დეკანად, შემდეგ კი 1920 წ. აპრილში აირჩიეს ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

აღსანიშნავია, რომ, თსუ-საგან განსხვავებით, სადაც სწავლება ქართულ ენაზე იყო, თსპი-ში საგნებს მხოლოდ რუსულად აწავლიდნენ, რაც გარკვეულ სიძნელებს უქმნიდა რესპუბლიკისათვის საინჟინრო კადრების აღზრდას. საგნების რუსულ ენაზე სწავლების აუცილებლობის ძირითად თსპი-ს თანამშრომლები ასახელებდნენ ქართულ ენაზე ტერმინოლოგიისა და სათანადო ლიტერატურის უქონლობას. ამიტომ, ამ მიზეზის სალიკვიდაციოდ, ა. დიდებულიძემ ყიფმინისთან ერთად დიდი მუშაობა გაშალა, ერთი მხრივ, ქართულ ენაზე ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნისა და ტექნიკური ლიტერატურს გამოსაცემად, ხოლო, მეორე მხრივ, საკითხი დასვა, რომ რუსული სექტორის პარალელურად გახსნილიყო ქართული სექტორიც. შეგრამ ა. დიდებულიძის ამ მასწავლებამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა ვერც თსპი-ს პროფესორ-მასწავლებლებში და ვერც მეწურევის მთავრობისაგან. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართულ ენაზე სწავლების საკითხი მოიწონა რესპუბლიკის განსახომში. 1923 წ. ა. დიდებულიძე ტოვებს თსპი-ს და მთლიანად გადადის სამუშაოდ თსუ-ში.

როგორც ცნობილია, თსუ გაიხსნა 1918 წ. იანვარში და ა. დიდებულიძის მუშაობის დასაწყისში აერთიანებდა ფიზიკურ-მათემატიკურ, საექიმო (სამედიცინო), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულ-

ტეტებს, საღაც შეღიოდა აგრონომიული განყოფილება, რომელიც 1921 წ. გამოეყო დამოუკიდებელ ფაქულტეტად. მომწიფებელი პოლი-ტექნიკური ფაქულტეტის გახსნის საკითხი.

1917 წ. ქართველი ინკინდების ინიციატივით თბილისში ჩამოყალიბდა „საქართველოს ტექნიკური საზოგადოება“, რომლის სხდომებზე ფართოდ იხილავდნენ ტექნიკისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის პრობლემებს, რაც დაკავშირებული იყო რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებასთან. საზოგადოების ინიციატივით შედგენილი და გამოცემული იყო პარველი რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი და შეიქმნა პარველი ტექნიკური უურნალი „ტექნიკა და ცხოვრება“. საზოგადოებამ დიდი როლი ითამაშა აგრეთვე საშუალო და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების დაარსებისა და ხელმძღვანელობის საქმი.

ბუნებრივია, რომ საზოგადოების ყურადღების მიღმა ვერ დაჩრდის საქართველოში ინტენსიური მომზადების საკითხი. ვერ კიდევ 1920 წ. ივლისში და შემდეგაც საზოგადოების მართველობის დადგენილებებში არის მითითებები თუშ-ში პოლიტიკური ან საინჟინრო ფაულტეტის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ა. დიდებულიძე იყო ტექნიკური საზოგადოების აქტივისტი წევრი და ტექნიკური ონტელიგენციის ერთადერთი წარმომადგენელი — ინ-უინერი, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოში შედიოდა. თსუ-ს პროფესორთა საბჭომ 1920 წ. დეკემბერში გამოიტანა დადგენილება კომისიის აჩევნის შესახებ, რომლის შემატებულობაში შედიოდნენ პროფესორები: ი. ჯავახიშვილი, ა. რაზმაძე, ა. დიდებულიძე და ა. ჯავახიშვილი; კომისიის დაეფალა შექმნავლა საკითხი თსუ-სთან ტექნიკური ცოდნის ფაულტეტის ორგანიზაციის შექახებ. თსუ-ს გამგეობის სხდომაზე, 1921 წ. 10 იანვარს მოისმინეს კომისიის მოხსენება და გამოიტანეს დადგენილება უნივერსიტეტში ტექნიკური ფაულტეტის შექმნას შესახებ. სასწავლო გეგმებსა და სხვა ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად გამოიყო კომისია პროფ. ა. დიდებულიძეს, ა. რაზმაძის, ა. ბენაშვილის, ი. მოსეშვილის, ნ. მუს-ხელიშვილის, ლ. ლეიბერზონის შემადგენლობით. კომპტაციის წესით კომისიაში შეეძლოთ მოეწვიათ სხვა საჭირო პირებიც. ა. დიდებულიძემ პოლიტექნიკური ფაულტეტის ორგანიზაციაში მთავარი როლი შექმნაულა, იგი ერთმანეთთან აკავშირებდა თსუ-ს და ტექნიკური საზოგადოების მმართველობას. სასწავლო გეგმების შემდგენელი კომისიას მუშაობაში ზან მოიზიდა საზოგადოების ყველა აქტივისტი და გამოცდილი ინჟინერი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაუბრკოლებლივ და სწრაფად გადაწყვდა უმაღლესი ვანათლების საკითხები და უკვე 1921 წ. დამლუეს გამოვიდა მთავრობის მითითება პოლიტექნიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბების შესახებ.

1921 წ. ნოემბერში თსუ-ს პროფესორთა საბჭომ მოისმინა კომისიის ანგარიში განვლილი მუშაობის შესახებ და დაადგინა უნივერსიტეტში ტექნიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბება. პოლიტექნიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საკითხების დასამუშავებლად არჩეულ იქნა იმ პროფესორთა კომისია, რომელთაც ლექციები უნდა წაეკითხათ ზოგად დისციპლინებში. კომისიის შექმნა დაევალა ა. დიდებულიძეს, რომელმაც ტექნიკური საზოგადოებრივან მოიწვია გ. ქურდიანი, ი. ვაწაძე, ვ. კაკაბაძე, ლ. დიასამიძე, გ. გელევანიშვილი, ნ. გვარამაძე, რომლებიც შემდგომში იყვნენ ფაკულტეტის წამყვანი მასწავლებლები და კათედრის გამგები.

1921 წ. 30 დეკემბერს ა. დიდებულიძემ თსუ-ს საბჭოს მთახსენა კომისიის რეკომენდაციები ფაკულტეტის ჩამოყალიბების შესახებ: საბჭომ მთლიანად მოიწონა კომისიის მუშაობა და დაადგინა: უნივერსიტეტში ჩამოყალიბდეს პოლიტექნიკური ფაკულტეტი სამი განყოფილებით — სამშენებლო, მექანიკური და სამთო, თითოეული განყოფილება სამი სპეციალობით. 1922 წ. იანვარში მოხდა სტუდენტთა მიღება და დაიწყო მეცადინეობა. 1922 წ. მაისში ა. დიდებულიძე დამტკიცეს პოლიტექნიკური ფაკულტეტის პირველ დეკანად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1926 წლამდე.

1923 წ. იანვრიდან 1924 წ. ბოლომდე ა. დიდებულიძე იყო თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორის დირექტორი, სადაც აღადგინა და გაათართოვა საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელი, გამართა კარსანში მაგნიტური ობსერვატორია, მოამზადა მისთვის მომსახურე ტექნიკური პერსონალი, განაახლა ობსერვატორის ბიულეტენების გამოშევა. მთლიანად გადახალისდა ობსერვატორის მუშაობა: შედგა სინკპრიკური რუკები, წარმოებდა ამინდის პროგნოზირება, მოწესრიგდა ზუსტი დროის სამსახური და სხვ.

ითვალისწინებდა რა მთავარი კავკასიონის ქედის გეოფიზიკური გამოკვლევის დიდ მნიშვნელობას, ა. დიდებულიძემ 1923 წ. აგვისტოში მოაწყო პირველი ექსპედიცია მყინვარშვერზე 18 კაცის შემაღებელობით. მწვერვალზე ავიდა ექსპედიციას 14 წევრი, მათ შორის ერთი ქალი. ექსპედიცია გზადაგზა განუწყვეტლივ ზომავდა ტეპერატურას, სიმაღლეს, ტენიანობას. შესწავლილ იქნა მყინვარშვერის მეტეოროლოგიური პირობები, გადაიღეს მყინვარშვერის რუკა, მისი

ჩრდილო ნაწილის რუკა დევლორაკისა და ჩათის მყინვარებით და ზუსტად დადგინდა მისი სიმაღლე (5038 მ.). რუკები შეადგინეს ტოპოგრაფიულმა ქავთარაძემ და ცხადიამ. შეორე გეოგრაფიული ექსპედიცია მყინვარწვერზე 6 კაცის შემადგენლობით მოეწყო 1925 წლის ზაფხულში. ა. დიდებულიძის მიერ აღმოჩენილი ახალი გზით — გრძელის მყინვარის გავლით, მწვერვალზე დაიდგა მეტეოროლოგიური ჯიხური მინიმალური და მაქსიმალური თერმომეტრებით. პირველი ექსპედიციას შედეგები გამოქვეყნდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მოამბეჭი (№ 1, 1929 წ.). ამ ექსპედიციისათვის ა. დიდებულიძე 1936 წ. დაჯილდოვდა სსრკ-ს პირველი თანრიგის ალპინისტის სიჩვენით.

ა. დიდებულიძე იკვლევდა ზაპესის ელექტრომაგნიტური ველის გავლენას კარსანის გეომაგნიტური ობსერვატორის ხელსაწყოებზე, რის შესახებაც მოახსენა რსუსრ-ს მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორის სამეცნიერო საბჭოს ლენინგრადში 1927 წ. მიაშვი. სტატია „ზაპესის დენების მავნე გავლენა კარსანის მაგნიტური ობსერვატორის ხელსაწყოებზე“ ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა საქართველოს გეოფიზიკურ აბსერვატორიაში 1927 წ.

ა. დიდებულიძე, როგორც თსუ-ს პოლიტექნიკური ფაკულტეტის პროფესიი დეკანი, უდიდეს და პასუხსავებ მუშაობას ეწეოდა სასწავლო პროცესის — ლაბორატორიების ორგანიზაციისათვის მათი ხელსაწყოებით, ინვენტარით მოსამარაგებლად, პროგრამების, დამხმარე სახელმძღვანელოების, სახელმძღვანელოების შესაქმნელად, ქართულ ენაზე ტერმინოლოგიის დასამუშავებლად და სხვ. იგი დახმარებისათვის მიმართავდა ხელისუფლებას, სამრეწველო საწარმოებს, კერძოდ, ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო კომპანია „ჩემოს“, რომლისადმი მიწერილი წერილი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „პოლიტექნიკური ფაკულტეტისადმი დახმარების გაწევა, როდესაც იგი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ისეთი დიდი საქმეა, რომ ქართველი ხალხი ამას არასოდეს დავიწყებს და დიდად დაათვასებს“. ამ მიმართვის შედეგად გაწეულმა დახმარებამ შექსაძლებელი გახდა შექმნილიყო ელექტრომეტრული, საშენი მასალების გმირული, ელექტრული მანქანების ლაბორატორიები, გეოლოგიური და მინერალოგიური კოლექციები და სხვა. ამ საქმეში ფაკულტეტს დიდ დახმარებას უწევდნენ სტუდენტებიც.

1924 წ. ფაკულტეტის დეკანის ა. დიდებულიძის ინციატივით ჩამოყალიბდა სტუდენტების ტექნიკური სექცია, რომელსაც ჰქონდა სამონტაჟო ბიურო, საპროექტო, სამშენებლო, რადიოსაქმის და სხვა.

განყოფილებები. შემოსავლის ხარჯზე ტექნიკურმა სექციამ გახსნა ლითოგრაფია და 1928 წლამდე გამოსცა სასწავლო გეგმები, საწარმოო პრაქტიკის პროგრამები, სახელმძღვანელოები შემობლიურ ენაზე მასალათა გამდლობაში, გრაფისტატიკაში, თეორიულ მექანიკაში (ნ. ნიკოლაძე) და სხვა. ტექნიკურ სექციაში აქტიურად მუშაობდნენ და ა. დიდებულიძეს დიდ დახმარებას უწევდნენ სტუდენტები ვ. აბაშიძე, ა. ჯაფარიძე (ცნობილი ალბინისტი), გ. რუხაძე, ს. ჩიხელიძე, გ. წერეთელი, ი. ლამბაშიძე, ი. ბრევვაძე და სხვ.

ა. დიდებულიძე დიდ უურადღებას უთმობდა ქართული სამეცნიერო-რო-ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნას. ოთხწლიანი მუშაობის შედეგად 1928 წ. საქართველოს სახელგამმა გამოსცა ქართული ტერმინოლოგია ფიზიკასა და ელექტროტექნიკაში (176 გვ.). ამ საქმეში მსახმარებოდნენ თსუ-ს ფიზიკის კათედრის ასისტენტები მ. ნოდია, ვ. ყიფშიძე, ი. ლუკაშვილი.

ა. დიდებულიძე ავტორია პირველი ქართული სახელმძღვანელოებისა ელექტროტექნიკის თეორიულ საფუძვლებსა და ელექტრულ გაზომვებში. 1928 წ. გამოქვეყნდა მისი წიგნი „ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები“ (ტომი I, 240 გვ.), ხოლო 1929 წ. — მონოგრაფია „ელექტრო და მაგნიტომეტრია“ (787 გვ.) — ენციკლოპედიური წარმომი საზომ ტექნიკაში, სადაც მოყვანილია ელექტრული და მაგნიტური სიდიდეების გაზომვის იმ დროისათვის ცნობილი ყველა მეთოდი, ყოველ პარაგრაფთან მითითებულია ლიტერატურა. ეს წიგნები ძირითადი სახელმძღვანელოები იყო სტუდენტებისათვის ელექტროტექნიკური დისციპლინების შესასწავლად.

1928 წ. სექტემბრიდან თსუ-ს პოლიტექნიკური ფაულტეტისა და თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (რუსული) გაერთიანებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური იმსტიტუტი ქართული და რუსული სექტორებით. ა. დიდებულიძე სამუშაოდ გადავიდა ამ ინსტიტუტში და 1928 წ. ჩამოყალიბა ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრა, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე.

1932 წლიდან 1938 წლამდე ა. დიდებულიძე ხელმძღვანელობდა ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლების კათედრას ამიერკავკასიის ელექტროგაზირგაბმულობის საინჟინრო ინსტიტუტში, სადაც 1933 წ. სტუდენტებისათვის გამოუშვა „ვექტორული ანალიზი და მრუდების თეორია“, „ცდომილებათა თეორია“ და „ელექტრო და მაგნიტომეტრიის მოქლე კურსი“ რუსულ ენაზე.

1936 წ. მან ჩამოყალიბდა და 1946 წლამდე ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კათედრას საქართველოს სა-სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

ყველა მის მიერ ჩამოყალიბებულ კათედრაზე იგი ქმნიდა საქართველო ლაბორატორიებს და დიდ ყურადღებას უთმობდა ცდების დემონსტრაციას, თვალსაჩინოებას, მაკეტებს, მოწყობილობათა მახსიათებლებს.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი ა. დიდებულიძემ მიუღვნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის და მათი ელექტრონიკის ამაღლების საკითხებს. როგორც აღვნიშნეთ, ჭერ კიდევ 1911—1912 წლებში იყო ექსპერიმენტულად ივლევდა მცენარეთა ელექტროკულტურის საფინანსებს. ამავე პერიოდში მან დაიწყო სითბოს იზოთერმული აკუმულატორის გამოკვლევა, რომელიც ემყარებოდა ენერგიის გამოყოფას მარილების ნაღნობში კრისტალზაციისას ფაზური ცვლილებების დროს. ასეთი აკუმულატორის დანიშნულება იყო მეფრინველების დაში გამოყენებული ელექტრული ან მზის ენერგიით გამზღვით გამზღვით გამოკვლევებისათვის. ეს გამოკვლევები მან მოგვიანებით დამთავრა და 1933 წ. საავტორო მოწმობაც მიიღო.

1929 წ. ა. დიდებულიძემ ცნობილ მეცნიერ კ. ამირეჯიბშა და ინჟ. გ. მანველიძესთან ერთად დაიწყო ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები სპრე-ში პირველი ელექტროტრაქტორის „შესაქმნელად, რომელიც კაბელით დკვებებოდა. ასეთი ტრაქტორი „ფორმონის“ ტიპის ბორბლიანი ტრაქტორის ბაზაზე შეიქმნა 1931 წ. დააწყისისათვის. ამავე წლის მაისში ტრაქტორმა წარმატებით გაიარა გამოცდა. სწორედ ეს ტრაქტორი გახდა სტიმული, რომლის საფუძველზე გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები სოფლის მეურნეობისათვის მობილური ელექტროფიციირებული მანქანების შესაქმნელად, და საქართველოში შეიქმნა სამეცნიერო დაწესებულებები სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დარგში.

1931 წლის დასაწყისში თბილისში შეიქმნა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის, საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამერკავგასის ფილიალი. ფილიალის დირექტორის მოადგილე და მეცნიერული ხელმძღვანელი 1936 წლის დამლუებამდე იყო ა. დიდებულიძე. ამ ინსტიტუტში იგი აგრძელებდა მუშაობას ელექტროტრაქტორის შექმნაზე და 1936 წ. კ. ამირეჯიბთან ერთად შექმნა მუხ-

ლუხა ელექტროტრაქტორი, რომლის გამოცდამაც დადებითი შედეგი მოვცა.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ა. დიდებულიძისა და კ. ამირეჯიბის მუშაობა ამ მიმართულებით, ცხადია შემდეგიდან. უურნალ „ვოპროსი ეკონომიკა“-ში (№ 5, 1948, გვ. 147) სსრკ-ს სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. მაცკევიჩი სტატიაში „სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის შესახებ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში“ წერდა: „სწორედ საბჭოთა მეცნიერებას და ტექნიკას სამართლიანად ეკუთვნის პირველი ადგილი ელექტროტრაქტორის შექმნაში. ელექტრონხვნის ცდები, რომელიც 1920 წ. ვ. ი. ლენინის ინიციატივით დაიწყო, სისტემატურად გრძელდებოდა. 1930 წ. დიდებულიძემ და ამირეჯიბმა შექმნეს პირველი ელექტროტრაქტორი. მის გასაუმჯობესებლად ათწლეულზე მეტი წენის განმავლობაში მუშაობდნენ ВИМ-ს თანამშრომლები ინჟინერები ლისტოვი და სტეტენკო. ამჟამად სსრკ-ს აქცი ელექტროტრაქტორის ყველაზე სრულყოფაზე კონსტრუქცია, რომელიც თბურ ტრაქტორებთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობებით ხასიათდება“.

1933 წ. ა. დიდებულიძემ წამოაყენა და დაამუშავა შორსჭავლიანი საწვიმარი საცმის მარტივი კონსტრუქცია, რომელიც ერთი პოზიციიდან ნახევარ ჰქექტარს რწყავდა. შემდგომ, 1934—1940 წლებში, იგი განაგრძობდა მუშაობას ამ საცმების სრულყოფასთვის თმ მიზნით, რომ გაზარდა მათი მოქმედების რაღისუსი და მიეღწია მოსარწყავი ზედაპირის თანაბარ დაფარებას. ა. დიდებულიძემ დიდი გამოკვლევები ჩაატარა შორსჭავლიანი დაწვიმებისა და საწვიმარი საცმების თეორიის შესამუშავებლად. 1940 წ. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა სსრკ-ში პირველი შორსჭავლიანი საწვიმარი აგრეგატი ЧТЗ-ს ტრაქტორის ბაზაზე. ამ მიმართულებით კვლევას იგი 1951 წლიდე ატარებდა, რაც ისახა რიგ გამოქვეყნებულ ნაშრომებში. მან დაამტკიცა, რომ მექანიკური დაწვიმებისათვის საქშენიდან გამომავალი ჭავლი პიდრავლიკურად სუფთა, უჯრიგალო უნდა იყოს, ხოლო გაშეხვა მიიღწევა ჭავლის გამოსროლის გარკვეული სიჩქარისას, რისთვისაც საწვიმარ საცმებში გამოყენებული უნდა იყოს ციცაბო კონსური საქშენი, ნაცვლად სუსტადეკონუსურისა.

სოფლის მეურნეობის სფეროში აღსანიშნავია აგრეთვე ა. დიდებულიძის ნაშრომი „სეტყვის წარმომქმნელი პროცესების თეორია“, რომელიც 1936 წ. გამოქვეყნდა და რომელშიც გაშუქებულია სეტყვის წარმომქმნელი პროცესების დასაბუთებული თეორია.

ა. დიდებულიძე დიდ ყურადღებას უთმობდა გამოკვლევებს მეცნიერულ ფოტოგრაფიაში, როგორიცაა პალიმფსესტების ფოტოგრაფირება, ფერადი ფოტოგრაფია და ფოტოკრიმინალისტიკა. ყველა გამოკვლევას იგი ატარებდა იმ ობიექტებზე, რომელთაც მას აწოდებდნენ პროფ. ი. ჯავახიშვილი და პროფ. ს. ჯანაშია (პალიმფსესტების ფოტორეპროდუქციები), პროფ. გ. მუხაძე, გ. ასათანი (დაავადებათა ფოტოდიაგნოსტიკა), სამძებრო ორგანოები (ფოტოკრიმინალისტიკა) და სხვა. ამ გმოკვლევათა შედეგად მან შექმნა მონოგრაფია „უხილავის ფოტორეპროდუქცია“ (356 გვ., 1948 წ.), რომელშიც მოცემულია დაფარული ან ამოჭმული ხელნაწერის, ხატების, ფრესკების და სურათების გმოკვლინების ყველა ცნობილი და მის მიერ შემუშავებული მრავალი ახალი მეთოდის დაწვრილებითი და სისტემატური მოხილვა.

1943 წ. ა. დიდებულიძემ გამოსცა შუქშენილბევის თეორიისა და პრაქტიკისადმი მიძღვნილი წიგნი (156 გვ.).

ა. დიდებულიძე დიდ ყურადღებას და ენერგიას უთმობდა საქართველოში ენერგეტიკის განვითარებას, ამ დარგის საინჟინრო და სამეცნიერო კალების აღზრდას. ჯერ კიდევ 1922 წ. ზაჰესის შექნებლობასთან დაკავშირებით იგი მონაწილეობდა ტექნიკურ კომისიაში, რომელსაც უნდა განეხილა და დასკვნა მიეცა უცხოური ფირმების წინადადებებისათვის ელექტრომექანიკური მოწყობილობების მიწოდების და ელსადგურის საერთო პროექტის გადასინჯვის შესახებ. შემდგომ წლებში იგი მონაწილეობს სხვადასხვა კომისიაში, რომლებიც განიხილავენ რესპუბლიკაში ელექტროენერგეტიკული ობიექტების მშენებლობასთან, მათ განვითარებასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ზაჰესის შექნებლობის პერიოდში (1922—1927 წ.) საქართველოს ტექნიკური საზოგადოების დავალებით ა. დიდებულიძემ შეადგინა ქ. თბილისის 6 კვ. საკაბელო და დაბალი ძაბვის გამანაწილებელი ქსელის პროექტი. ქალაქის მოსახლეობის და მისი მრეწველობის განვითარების 10-წლიანი პერსპექტივის გათვალისწინებით, პროექტი განიხილეს და მოიწონეს ტექნიკური საზოგადოების სხდომაზე. შემდეგ 1928—1930 წლებში იგი განაგრძობდა ამ საკითხზე მუშაობას თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში. 1928 წ. მანვე შეადგინა საქართველოს სახეინმრეწვის გარდამქმნელი ქვესადგურის და ელექტროფიკაციის პროექტი.

ა. დიდებულიძე, როგორც თსუ-ს პოლიტექნიკური ფაკულტეტის დეკანი, ჯერ კიდევ 1924—1928 წლებში ტექნიკურ სექციაში სამუშა-

ო დ ი წ ე ვ დ ა ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ს დ ა მ ა თ ქ . თ ბ ი ლ ი ს ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ბ ი ნ ე ბ ი ს ე ლ ე ქ ტ რ უ ლ ი გ ა ნ ა თ ე ბ ი ს დ ა პ ა პ რ ი მ ე ქ ტ ე ბ ი ს დ ა მ ო ნ ტ ა ი ს , ა გ რ ე თ ვ ე ს ა - წ ა რ მ ო ნ ი მ ი ს ე ლ ე ქ ტ რ ი ფ ი ფ ა ც ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ს ა მ უ შ ა მ - ე ბ შ ი რ თ ვ დ ა , რ ა ც შ ე პ ა რ ი მ ე ბ უ ლ ი ი ყ მ ე რ თ ი მ ხ რ ი ვ ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი ს კ ვ ა ლ ი ფ ი ფ ა ც ი ს ა მ ა ლ ლ ე ბ ა ს ა დ ა მ ა თ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი პ ი რ ი მ ე ბ ი ს გ ა უ მ - ჯ ი ნ ე ბ ა ს თ ა ნ დ ა მ ე მ რ ე მ ხ რ ი ვ ქ ა ლ ა ქ ი ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ა ს თ ა ნ ზ ა პ ე ს ი დ ა ნ ე ლ ე ქ ტ რ ი მ ე ნ ე რ გ ი ს მ ი ს ა ლ ე ბ ა დ .

1935—50 წ ლ ე ბ შ ი ა . დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე მ გ ა მ ო ა ქ ვ ე ყ ნ ა ს ტ ა ტ ი ე ბ ი დ ა გ ა მ ვ ი ღ დ ა მ ო ს ხ ე ნ ე ბ ე ბ ი თ კ ვ ნ ფ ი ე რ ე ნ ც ა ე ბ შ ი , რ მ ლ ე ბ ი ც ე ხ ე ბ ო დ ა ს ა - ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ ე ლ ე ქ ტ რ ი მ ე ნ ე რ ე რ გ ე ტ ი ყ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ბ ა ს , მ ი ლ წ ე ვ ე ბ ს ა დ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს უ ა ხ ლ ი ე ს პ ა პ ე ქ ტ ი ვ ე ბ ს .

1940 წ . ა . დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე მ გ ა მ ა რ ა ტ ვ ე ლ ი ს ს ა ს ი ფ ლ ი - ს ა მ ე უ რ ნ ე რ ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს ს ა ბ ჭ ი შ ე დ ა დ ა ი ც ა დ ი ს ე რ ტ უ ტ ი ა ტ ე ქ ნ ი კ უ რ მ ე ც ი ნ ე რ ე ბ ა თ ა დ ლ ე ქ ტ რ ი რ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი ს მ ო ს ა პ რ ე ბ ლ ა დ თ ე მ ა ზ ე : „შ ი რ ს ჭ ა ვ ლ ი ა ნ ი ს ა წ ვ ი - მ ჩ ე ბ ი ს ა დ ა ს ა წ ვ ი მ ა რ ი დ ა ნ ა დ გ ა რ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა “ .

დ ი დ ი ა ა . დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე მ გ ა წ ვ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ა თ ვ ი ს ი ნ კ ი - ნ ე რ - ე ლ ე ქ ტ რ ი კ ი ს თ ა ხ ა ლ ი თ ა მ ბ ი ს ა ლ ზ რ დ ა ს ა დ ა მ ო მ ზ ა დ ე ბ ა შ ი . 1919 წ . ს ა ქ ა რ ა ტ ვ ე ლ ი მ ე ბ ი ს ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ ი გ ა ნ უ წ ყ ვ ე ტ ლ ი ვ მ უ შ ა მ ბ დ ა უ მ ა ღ ლ ე ს ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ შ ი : ხ ე ლ მ ძ ლ ვ ა ნ ე ლ ი მ ბ დ ა ფ ი ზ ი კ ი ს კ ა თ ე დ რ ა ს თ ს უ - შ ი (1919—33 წ .), ჩ ა მ ა ი ა ლ ი ბ ა დ ა ხ ე ლ მ ძ ლ ვ ა ნ ე ლ ი მ ბ დ ა ზ ო გ ა დ ი დ ა თ ე ო რ ი უ ლ ი ე ლ ე ქ ტ რ ი მ ტ ე ქ ნ ი კ ი ს კ ა თ ე დ რ ა ს ვ . ი . ლ ე ნ ი ნ ი ს ს ა ხ ე ლ ი ბ ი ს ს ა ქ ა რ ა ტ ვ ე ლ ი ს პ ო ლ ი ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ნ ს ტ ი ტ უ ტ შ ი (1928—51 წ .), ი ყ მ თ ე თ ა რ ი უ ლ ი ე ლ ე ქ ტ რ ი მ ე ნ ე რ ე რ გ ი ს კ ა თ ე დ რ ი ს გ ა მ გ ე კ ა ვ შ ი რ გ ა ბ მ უ ლ ი მ ბ ი ს ი ნ კ ი ნ ე რ თ ა ა მ ი ე რ კ ა ვ ა ს ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ შ ი (1932—38 წ .) დ ა ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ბ ი ს ე ლ ე ქ ტ რ ი ფ ი კ ა ც ი ს კ ა თ ე დ რ ი ს გ ა მ გ ე ს ა ქ ა რ ა ტ ვ ე ლ ი ს ს ა ს ი ფ ლ ი - ს ა მ ე უ რ ნ ე რ ი ნ ს ტ ი ტ უ ტ შ ი (1936—45 წ .). ა მ კ ა თ ე დ რ ე ბ შ ი ი გ ი კ ი თ ხ უ ლ ი მ ბ ი ს ე ლ ე ქ ტ რ ი მ ტ ე ქ ნ ი კ ი ს კ ა თ ე დ რ ე ბ შ ი , ე ლ ე - ქ ტ რ ი მ ტ ე ქ ნ ი კ ი ს თ ე ო რ ი უ ლ ს ა თ უ დ ვ ლ ე ბ შ ი , ზ ო გ ა დ ე ლ ე ქ ტ რ ი მ ტ ე ქ ნ ი კ ი ს , ე ლ ე ქ ტ რ უ ლ გ ა ზ ო მ ვ ე ბ შ ი , შ უ ქ ტ ე ქ ნ ი კ ი ს , ს ი ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ბ ი ს ე ლ ე - ქ ტ რ ი ფ ი კ ა ც ი ს დ ა ს ი ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ბ ი ს ე ლ ე ქ ტ რ ი მ ტ ე ქ ნ ი კ ი ს . ა . დ ი - დ ე ბ უ ლ ი ძ ე მ გ ა წ ვ ი ა ხ ა ს ი ა თ ე ბ დ ა ფ ი ზ ი კ ი კ უ რ ი მ ვ ა ფ ი ი დ ა ნ ა თ ე ლ ი გ ა დ მ ვ ე ბ ა რ ე მ ა მ ა ლ ი ც ე ბ ი ს დ ა ს ი ს ლ ე ბ ლ ე ბ ი ს დ ა ს წ ა ვ - ლ ე ბ ი ს ტ ე ქ ნ ი კ უ რ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა გ ა მ ი ე ნ ე რ ე ბ ა , მ ო ვ ლ ე ნ ი ს დ ე მ ო ნ ს ტ რ ა - ც ი ს ა დ ა ე ქ ს პ ა პ ე რ ი მ ტ ე ბ ი ს ჩ ა ტ ა რ ე ბ ა . ს რ უ ლ ყ ა ფ ი ლ ა დ ფ ლ ი ბ ლ ა დ ე ქ ს პ ა პ ე რ ი მ ტ ა ტ რ ი ი ს , ლ ა ბ ო რ ა ტ ი რ ი უ ლ ი ს ა მ უ შ ა მ ე ბ ი ს დ ა ყ ე ნ ე ბ ი ს ა დ ა ტ ა რ ე ბ ი ს ხ ე ლ ვ ე ნ ე ბ ა ს . მ ა ნ შ ე ქ მ ნ ა პ ი რ ე ლ ი ს ა ხ ე ლ მ ძ ლ ვ ა ნ ე ლ ი ე ბ ი დ ა დ ა მ ხ მ ა რ ე ს ა ხ ე ლ მ ძ ლ ვ ა ნ ე ლ ი ე ბ ი ი ე ლ ე ქ ტ რ ი მ ტ ე ქ ნ ი კ ა ც ი ს დ ა ე ლ ე ქ ტ რ უ ლ გ ა ზ ო მ ვ ე ბ შ ი , ფ ი ზ ი კ ი ს დ ა ე ლ ე ქ ტ რ ი მ ტ ე ქ ნ ი კ ი ს ტ ე რ მ ი ნ ი ლ ი გ ი ბ ი .

დაუფასებელია ა. დიდებულიძის შრომა ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისათვის პირველი ახალგაზრდა მეცნიერების მისამზადებლად. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით მომზადდა 20 მეცნიერებათა კანდიდატი და რამდენიმე დოქტორი.

ა. დიდებულიძეს მუდამ მშეიდრო კავშირი ჰქონდა საპროექტო ორგანიზაციებსა და სამრეწველო საწარმოებთან. ასე, მაგალითად, მან დააპროექტა სახელმწიფო კონსერვატორის დიდი დარბაზი და მთახდინა მისი აკუსტიკური გაანგარიშება (1940 წ.), შეიმუშავა რა-დიოშეფერხებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. ქ. თბილისში (1928 წ.) კონსულტაციას უწევდა კინოთეატრებს ხმოვან კინოზე გა-დასცლისას (1932—1936 წ.), აწარმოებდა პროექტების ექსპერტიზას ჰიდროენერგომშენებლობის ზოგიერთ ობიექტზე (1944 წ.), კონსულტაციას უწევდა სამრეწველო საწარმოებს ელექტროენერგიის დანა-კრებების შემცირების საჭითხებში (1941—1950 წ.) და სხვა.

ა. დიდებულიძე აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას უწევდა. და-არსების დღიდანვე (1924 წ.) იყო საქართველოს ტექნიკური საზოგა-დოების პრეზიდიუმის წევრი, არჩეული იყო ყველა საკავშირო ელექ-ტროტექნიკური ყრილობის წევრად, საქართველოს გამომგონებელთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად (1933 წ.). 1940 წლიდან უცვლე-ლად თავმჯდომარეობდა ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის საკავ-შირო სამეცნიერო საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოების საქართვე-ლოს განყოფილებას, არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დე-პუტატად, იყო რიგი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუ-ტების სამეცნიერო საბჭოების წევრი და ა. შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1941 წლის 24 თებერვალის დადგენილებით სამეცნიერო და კულტურული მშენებლობის დარგში დიდი დამსახურებისათვის მას მიენიჭა მეცნიერებისა და ტექ-ნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1944 წ. ა. დიდებულიძე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერება-თა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1946—1951 წლებში იყო საქართვე-ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის დირე-ქტორი. 1951 წ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-მის დადგენილებით ამ ინსტიტუტს ა. დიდებულიძის სახელი მიე-ნიჭა.

ა. დიდებულიძე სკკპ წევრი იყო 1947 წლიდან, დაჯილდოებუ-ლი იყო ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით და ორი მედლით.

ა. დიდებულიძე გარდაიცვალა 1951 წლის 18 აპრილს.

ა. კ მ ტ ი ა

## АЛЕКСАНДР ИОСИФОВИЧ ДИДЕБУЛИДЗЕ

(Краткий очерк научной и общественной деятельности)

Известный ученый и общественный деятель Александр Иосифович Дидебулидзе принадлежит к той плеяде советской технической интеллигенции, которая заложила фундамент высшего технического образования в Грузии и внесла неоценимый вклад в становлении и развитии отдельных технических дисциплин. Он является основателем электротехнической школы Грузии, первые научные труды которого по электротехнике были опубликованы в 1910—1912 гг. Ученый с широким диапазоном научных и технических интересов и исследований, активный общественный деятель и организатор, он внес большой вклад в различные отрасли электротехники и смежные к ней дисциплины.

А. И. Дидебулидзе родился 14 (24) декабря 1882 г. в г. Тбилиси, в семье военного преподавателя Тифлисского юнкерского училища. Мать его, урожденная М. А. Сулханишвили, преподавала музыку и пение и была из семьи известного грузинского композитора А. Сулханишвили. Первоначальное образование получил дома, в сентябре 1894 г. поступил в Тифлисское реальное училище, полный курс которого окончил в 1903 г. В 1903 г. зачисляется на механическое отделение Рижского политехнического института (РПИ), которое окончил с отличием в мае 1911 г. с присуждением звания инженера-технолога по специальности гидроэлектрика, конструкторского направления.

Научно-педагогическую деятельность А. И. Дидебулидзе начал в 1909 г. будучи еще студентом, когда он был зачислен вспомогательным ассистентом при кафедре электротехники РПИ у профессора Н. М. Озмидова. В 1910 г. был избран ассистентом, в 1915 г. доцентом, читал лекции по электротехни-

ке и вел курсы по телефонии, телеграфии и радиотелеграфии. Одновременно с работой в РПИ, преподавал физику, математику и космографию в Рижском реальном училище и женской гимназии; читал лекции и заведовал электротехнической лабораторией в частном техникуме профессора М. Н. Берлова.

Одновременно с научно-педагогической деятельностью, А. И. Диебулидзе ведет большую инженерно-практическую работу. За период 1911—1914 гг. спроектировал и осуществил освещение здания РПИ, составил проект электрической сети г. Митавы, состоял консультантом ряда электротехнических фирм («Гартман—Браун», «Вольта», «Тунгсрам») и консультантом-конструктором турбинного завода «Пирвиц» и имел свою электротехническую контору в г. Риге.

В 1910 г. появляется первый его научный труд, посвященный расчету турбин Френсиса, где дается новый метод расчета и конструирования лопаток рабочего колеса турбины, который был доложен в Рижском техническом обществе и опубликован в г. Риге.

В 1912 г. в журнале «Электричество» появляется его статья, посвященная оригинальному графическому методу определения общего сопротивления параллельно включенных сопротивлений.

Будучи студентом внимание А. И. Диебулидзе привлекают вопросы теории и практики фотографических процессов, интерес к которым он сохранил на всю жизнь. В 1908 г. он избирается редактором журнала «Фотографические новости» в г. Риге, а в 1913—1914 гг. и в 1915 г. появляются его работы «Оптические сенсибилизаторы фотографических эмульсий» и «Цветная фотография на солях серебра» (часть I, «Метод интерференции Липпманна»), в которых автор, на основе проведенных экспериментальных исследований, приходит к выводу, что при мелком зерне можно существенно повысить чувствительность эмульсии физическими сенсибилизаторами (например, прибавлением анилиновой краски, коллоидного серебра и зекулина), повысить чувствительность эмульсии для цветной фотографии по методу Липпманна и улучшить яркость и чистоту цветов.

В г. Риге 1906 г. он организует студенческое техническое

общество, председателем которого избирается, а в 1907—1909 гг. являлся председателем музыкального общества.

В результате проведенных А. И. Диебулидзе работ в 1911—1912 гг. «Электрокультура растений и животных», докторской на XIII съезде Русских естествоиспытателей и врачей в 1913 г. и опубликованной в дневнике съезда, установлено, что под влиянием электрического поля растения созревают быстрее, увеличивают содержание сахара и урожая, при искусственном же свете растения могут так же хорошо произрастать, как и при дневном свете.

В 1912—1913 гг. А. И. Диебулидзе разрабатывает новый тип термоэлемента, на которое ему выдается авторское свидетельство и о котором было доложено на VII электротехническом съезде в г. Москве. В предложенном термоэлементе термопара получается благодаря покрытию (осаждению) поверхности одного металла другим металлом.

В 1915 г., после эвакуации РПИ из г. Риги, А. И. Диебулидзе переходит в г. Москву, где до сентября 1916 г. читал лекции по электротехнике в Промышленном училище, в Народном университете им. Шанявского и руководил электротехнической лабораторией в Московском техническом училище. За короткий промежуток времени пребываний в г. Калуге, куда был эвакуирован в 1915 г. РПИ, он знакомится с К. Э. Циолковским, и совместно с ним проводит лекции для общественности города.

В сентябре 1916 г. А. И. Диебулидзе мобилизуется в действующую армию и вскоре назначается главным артиллерийским приемщиком в г. Одессе, а в последующем назначается заведующим технической частью управления по производству снарядов Одесского района, имея в своем техническом подчинении более 100 заводов (заводы Ген, Жако, Дубинин, Верфь и др.).

В 1917 г. по поручению Русского технического общества организовывает и заведует курсами военных фотолаборантов в г. Одессе.

В 1918 г., после установления Советской власти, А. И. Диебулидзе кооптируется членом Исполнительного Комитета Совета депутатов Румынского фронта, Черноморского флота и Одесского гарнизона (РУМЧЕРОД), и ему поручается пере-

вод заводов выпускающих военное снаряжение, на производство мирной продукции, что было выполнено им за несколько месяцев. Здесь им был предложен, разработан и внедрен новый тип токарных резцов не требующих перековки, так как при перековке получалось много отходов и порча инструментальной стали. Статья касающаяся этого вопроса была опубликована в Одессе в 1918 г.

За время пребывания в Одессе (1916—1919 гг.) он много внимания и энергии уделял организации высшего технического образования, и был одним из активных организаторов в 1917 г. Одесского политехнического института, где в сентябре 1918 г. был избран доцентом и секретарем механического факультета, а в апреле 1919 г. профессором кафедры теоретической электротехники. В Одессе он поддерживал тесную связь с находившимся там известными учеными: Л. И. Мандельштамом, Н. Д. Папалеки, Ч. Кларком и К. С. Завриевым.

В проделанной Одесском политехническом институте работе он заслужил всеобщее уважение и признание. Председатель технического факультета Ч. Кларк в депеше, адресованной в августе 1919 г. переехавшему на работу в Грузию А. И. Дидаубидзе, выражает сожаление в связи с его уходом из Одессы, отмечает его как одного из лучших преподавателей по электротехнике, сообщает, что постановлением факультета ему объявлена глубокая благодарность за проведенную работу и заканчивает депешу следующими словами: «Вы были одним из самых энергичных инициаторов и самоотверженных работников в деле организации в период зарождения и начального устройства Одесского политехнического института, а затем непрерывно и интенсивно сотрудничали в тяжелое время политических кризисов. Вы много труда и забот положили при устройстве и оборудовании электротехнической лаборатории и снабжения ее необходимыми приборами и инвентарем, а равно много содействовали в том же направлении и устройству всего института».

В 1912 г. А. И. Дидаубидзе докладывает в Рижском техническом обществе о разработанном им приборе и методе испытаний этим прибором гальванических элементов, который, в последствии, вошел в его монографию «Электро и магнитометрия», вышедшей в 1929 г. в г. Тбилиси, и подготовли-

вает в 1917 г. работу, касающуюся усиления контрастов при съемке вытравленных или выцветших рукописей, опубликованной в 1923 г. в «Известиях Тифлисского государственного университета».

В связи с организацией Тифлисского государственного университета (ТГУ), в мае месяце 1919 г. он приглашается в ТГУ и избирается профессором и заведующим кафедрой экспериментальной физики, где находился до октября 1933 г.

Большое внимание в ТГУ уделяет он отбору, из числа оканчивающих способных молодых людей, для подготовки к научно-исследовательской работе по физике. Были оставлены в университете и направлены в аспирантуру в научные центры страны М. Мирианашивили, В. Мамасахлисов, И. Кварцхава, Д. Гогоберидзе и др., ставшие в последствии известными учеными и руководителями кафедр ТГУ.

К этому времени в Тифлисе, с 1917 года, функционировал Тифлисский государственный политехнический институт (ТГПИ) с сельскохозяйственным, экономическим, механическим и строительным факультетами, где А. И. Дидебулидзе приглашается профессором кафедры физики и назначается деканом механического факультета, а в последствии, в апреле 1920 г., избирается и. о. ректора института.

Следует отметить, что в отличие от ТГУ, где преподавание велось на грузинском языке, преподавание в ТГПИ велось исключительно на русском языке, что создавало определенные трудности в подготовке инженерных кадров в республике. В качестве основной причины, вызывающей необходимость преподавания на русском языке, работниками ТГПИ выдвигалось отсутствие технической терминологии и литературы на грузинском языке. Поэтому с целью ликвидации этих причин, А. И. Дидебулидзе с одной стороны разворачивает большую работу, совместно с В. И. Кипшидзе, по созданию технической терминологии и издательства технической литературы на грузинском языке, а с другой стороны ставит вопрос об открытии, параллельно с русским сектором, грузинского сектора. Однако это стремление А. И. Дидебулидзе не получило поддержки как со стороны профессорско-преподавательского состава ТГПИ, так и со стороны меньшевитского правительства. После установления Советской власти в Грузии,

вопрос о преподавании на грузинском языке был одобрен Наркомпросом республики. В 1923 г. он оставляет ТГПИ и полностью переходит на работу в ТГУ.

Тбилисский государственный университет, как известно, был открыт в январе 1918 г., и к началу работы А. И. Дидебулидзе, включал физико-математический и врачебный (медицинский) факультеты и факультет естественных наук, куда входило агрономическое отделение, выделенное в 1921 г. в самостоятельный факультет. Назревал вопрос об открытии Политехнического факультета.

В 1917 г. инициативная группа грузинских инженеров в Тифлисе основала «Грузинское техническое общество», на заседании которого широко обсуждались и рассматривались различные проблемы по многим отраслям техники и промышленности, связанных с развитием производительных сил республики. По инициативе общества был составлен и издан первый русско-грузинский технический словарь и было организовано издание первого грузинского технического журнала «Техника да цховреба». Значительную роль сыграло общество также в деле основания и руководства средними и высшими техническими учебными заведениями.

Естественно, что общество не могло обойти вопроса о подготовке инженеров в Грузии. Уже в постановлениях правления общества в июле 1920 г. и в последующем имеются указания о необходимости создания при ТГУ Политехнического или Инженерного факультета.

А. И. Дидебулидзе был активным членом технического общества и единственным инженером-представителем технической интеллекции, который входил в Совет профессоров университета. Совет профессоров ТГУ в начале декабря 1920 г., выносит постановление об избрании комиссии в составе профессоров И. А. Джавахишвили, А. М. Размадзе, А. И. Дидебулидзе и А. Н. Джавахишвили, которой поручается изучение вопроса об организации при ТГУ факультета технических знаний. На заседании правления ТГУ от 10 января 1921 г. был заслушан доклад комиссии и было вынесено постановление об организации в ТГУ технического факультета. Для составления учебных планов и решения вопросов, связанных с организацией нового факультета, была выделена комиссия в составе:

профессоров А. И. Дидаулидзе, А. М. Размадзе, А. И. Бенашвили, Я. П. Мосешвили, Н. И. Мусхелишвили и Л. С. Лейбензона, с правом кооптаций в комиссию необходимых лиц. А. И. Дидаулидзе сыграл главную роль в организации Политехнического факультета и был связывающим лицом между ТГУ и правлением технического общества. К работе в комиссии по составлению учебных планов А. И. Дидаулидзе привлекает наиболее активных и опытных инженеров из общества.

После установления Советской власти в Грузии безпрепятственно и быстро решаются вопросы высшего образования, и уже к концу 1921 г. имеется указание от правительства об организации Политехнического факультета.

В ноябре 1921 г. Совет профессоров ТГУ заслушал работу, проделанную выделенной комиссией, и постановил организовать технический факультет в университете. Для разработки вопросов, связанных с организацией Политехнического факультета, была выбрана комиссия из тех профессоров, которые должны были читать лекции по общим дисциплинам. Созыв комиссии был поручен А. И. Дидаулидзе, который для работы в комиссии ввел из технического общества Г. Курдиани, И. С. Вацадзе, В. М. Какабадзе, Л. Н. Диасамидзе, Г. К. Гедеванишвили, Н. Гварамадзе, которые в дальнейшем были ведущими работниками факультета и заведующими кафедрами.

30 декабря 1921 г. А. И. Дидаулидзе доложил Совету ТГУ рекомендации комиссии по организации факультета. Совет полностью одобрил работу комиссии и постановил: организовать при университете Политехнический факультет с тремя отделениями: строительным, механическим и горным, с тремя специальностями по каждому отделению. В январе 1922 г. был проведен набор студентов и начаты занятия. Первым деканом Политехнического факультета в мае 1922 г. был утвержден А. И. Дидаулидзе, который в этой должности состоял до 1926 г.

С января 1923 г. до конца 1924 г. А. И. Дидаулидзе являлся директором Тбилисской геофизической обсерватории, где восстановил и расширил метеорологическую сеть Грузии, наладил работу магнитной обсерватории в Карсани и подготовил для нее обслуживающий технический персонал; восст

новил издание бюллетеней обсерватории. Реорганизована была вся работа обсерватории: составлены были синоптические карты, проводилось прогнозирование погоды, налажена служба точного времени и др.

Сознавая важность геофизических исследований главного Кавказского хребта, А. И. Дидебулидзе организует в августе 1923 года первую экспедицию на гору Казбек в составе 18 человек. На вершину поднялись 14 человек, в числе которых была одна женщина. Экспедиция по дороге производила непрерывные измерения давления, температуры, высоты, влажности. Были изучены метеорологические условия горы Казбека, снята была карта северной части горы Казбека, с Девдоракским и Чатским ледниками, карта самой горы Казбек и точно определена ее высота (5038 м); карты снимались топографами Кавтарадзе и Цхакая. Вторая геофизическая экспедиция на гору Казбек была снаряжена летом 1925 г. в составе 6 человек, по-новому открытому А. И. Дидебулидзе пути, а именно по Гергетскому леднику. На вершине горы была установлена метеорологическая будка с минимальными и максимальными термометрами. Результаты первой экспедиции были опубликованы в Известиях Грузинского географического общества, № 1, 1924. За эти экспедиции в 1936 г. он был награжден грамотой альпиниста СССР первого разряда.

А. И. Дидебулидзе изучает мешающее действие электромагнитного поля ЗАГЭСа на приборы геомагнитной обсерватории в Карсани, о котором докладывает на научном совете Главной геофизической обсерватории РСФСР в мае 1927 г. в г. Ленинграде. Статья «Мешающие действия токов ЗАГЭСа на приборы магнитной обсерватории в Карсани» на грузинском и русском языках была опубликована Геофизической обсерваторией Грузии в 1927 г.

На А. И. Дидебулидзе, как первого декана Политехнического факультета ТГУ, легла большая и ответственная работа по организации учебного процесса, организации лабораторий, оснащения их приборами и инвентарем, составления и издания программ, учебных пособий и учебников, разработки терминологии на грузинском языке и др. Он за помощью обращается к правительству и промышленным предприятиям и, в частности, к экспортной компании Чиатурского марганца

«Чемо», письмо к которой, он заканчивал словами: «Оказание помощи Политехническому факультету, когда он находится в затруднительном положении, такое большое дело, что Грузинский народ этого не забудет и высоко оценит». Последовавшая за этим обращением помочь, позволила организовать электрометрическую лабораторию, лабораторию по испытанию строительных материалов и электрических машин, коллекции по геологии и минералогии и др. Большую помощь в этом деле факультету оказывали студенты.

В 1924 г. по инициативе декана факультета А. И. Дидебулидзе была организована Техническая секция студентов, располагавшая монтажным бюро и проектным, строительным, радио и другими отделениями. На полученные доходы Техническая секция открыла литографию, типографию и до 1928 г. издала учебные планы, программы по производственной практике, учебники на родном языке по сопротивлению материалов, графостатистике, теоретической механике (Н. И. Мусхелишвили), начертательной геометрии (Г. Н. Николадзе и др.). В Технической секции большую активность проявили и помочь оказывали А. И. Дидебулидзе студенты В. Ф. Абашидзе, А. Б. Джапаридзе (известный альпинист), Г. Рухадзе, С. Чихелидзе, Г. Церетели, И. К. Гамбашидзе, И. Брегвадзе и др.

